საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 3 20 0000566162

06/07/2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 30 ივნისის №539350 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2020 წლის 06 ივლისიდან განხორციელდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტთა) ატესტაცია ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით:
ა) ზოგად განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ა.ა) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ა.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ა.გ) „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილება;
ა.დ) „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანება;

ა.ე) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
ა.ვ) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
ა.ზ) „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილება;
ბ) კომპიუტერული უნარების ქონა;
გ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
დ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.
2. ექსპერტთა ატესტაციის ეტაპებად განისაზღვროს:
ა) ექსპერტთა რეგისტრაცია (ავტობიოგრაფია - CV დართვით) 2020 წლის 6 ივლისიდან 2020 წლის 17 ივლისის ჩათვლით;
ბ) საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ექსპერტთა საქმიანობის შეფასება, რაც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
ბ.ა) თეორიული გამოკითხვა;
ბ.ბ) გასაუბრება;
გ) ექსპერტთა ატესტაციის შედეგების შესაბამისი კომისიის დასკვნით ოქმში ასახვა, რომელიც ცენტრის დირექტორს წერილობითი ფორმით წარედგინება არაუგვიანეს 2020 წლის 11 სექტემბრისა;
დ) ექსპერტთათვის ინდივიდუალური შედეგების გაცნობა არაუგვიანეს 2020 წლის 18 სექტემბრისა.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის შესახებ" ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 თებერვლის №185689 ბრძანება.
4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ